უკრაინის კულტურის სამინისტრომ მორწმუნეებს კიევ-პეჩერის ლავრის მღვიმეებში ლოცვა აუკრძალა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 02.21.2023. 20 მარტს მონასტერმა მიიღო წერილი ეროვნული ნაკრძალის „კიევ-პეჩერის ლავრას“ ხელმძღვანელობისგან, რომელშიც ნათქვამია, რომ ამიერიდან მუზეუმის მიერ მახლობელ და შორეულ მღვიმეებში შესვლა აიკრძალება კომისიის მუშაობის გამო, რომელიც განსაზღვრავს „კულტურული ფასეულობების“ დაცვის ხარისხს (სწორედ ასე უწოდებენ კულტურის სამინისტროსა და ნაკრძალის წარმომადგენლები ღირსი მამების წმინდა ნეშტებსა და სხვა სიწმინდეებს). ამის შესახებ იტყობინება **უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილება.**

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეებს ასევე აეკრძალათ ლოცვა კიევ-პეჩერის ლავრის სამ ტაძარში, ესენია: ჯვრის ამაღლების, ანნა-ზაჩატიევის და კიევ-პეჩერის ყოველთა ღირსთა მამათა კრების ტაძრები. ამის შესახებ განაცხადა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საინფორმაციო-

საგანმანათლებლო განყოფილების ხელმძღვანელმა, ნეჟინისა და პრილუკის მიტროპოლიტმა კლიმენტიმ.

კულტურის სამინისტროს მოხელის წერილში ნათქვამია, რომ კომისიის შექმნის გამო, რომელიც დაადგენს „კულტურული ფასეულობების არსებობას, დაცვას და უსაფრთხოების მდგომარეობას“, „ობიექტებთან (ანუ ტაძრებთან და მღვიმეებთან) წვდომა შეზღუდული იქნება". იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის კულტურის მინისტრი ა. ტკაჩენკო კიევ-პეჩერის მღვიმეების ღირსი მამების უხრწნელ ნეშტებს უწოდებს „კულტურული ფასეულობებსა" და „მუზეუმის ექსპონატებს", ამ სიწმინდეების უსაფრთხოების დადგენის მეთოდი შეშფოთებას იწვევს. ტოტალიტარულ საბჭოთა ეპოქაშიც ხომ ათეისტური ხელისუფლება ფართოდ აწარმოებდა კამპანიებს წმინდა ნაწილების მდგომარეობის საჩვენებლად. ამ კამპანიებს თან ახლდა სიწმინდეების შეურაცხყოფა, წმინდა ნაწილები ამოჰქონდათ ლუსკუმებიდან, ხსნიდნენ მათგან საფარველს დაწვრილებით ასაღწერად და მუზეუმის ვიტრინებში გამოსაფენად.

ნაკრძალის მიერ მღვიმეების გაფრთხილების გარეშე დახურვა უპრეცედენტო გამოვლინებაა უკრაინელი მორწმუნეების უფლებების შეზღუდვისა, რომლებიც ამ დღეებში მასობრივად ჩამოდიან უკრაინის სხვადასხვა რეგიონიდან იმ იმედით, რომ საშუალება მიეცემათ თაყვანი სცენ კიევ-პეჩერის ლავრის სიწმინდეებს.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90147/